



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49. 49231458

თარიღი:25/05/2023

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 81

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის“ საშტატო ნუსხაში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-482311774; 27/04/2023) წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის“ საშტატო ნუსხაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს ბავშვთა ინკლუზიური ცენტრის“ საშტატო ნუსხაში ცვლილების შეტანის შესახებ (დანართი თან ერთვის).
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, ვუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



ა(ა)იპ ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი"-ს სამტატო ნუსხა

#	თანამდებობის დასახელება	სამტატო ერთეული	განაკვეთის ღირებულება
	სულ	18.0	
1	დირექტორი	1	1980
2	შესყიდვების მენეჯერი	1	900
3	საქმის მწარმოებელი	1	700
4	ბუღალტერი	1	980
5	სოც.მუშაკი	1	760
6	პედაგოგი სპეც. განათლებით	1	760
7	ხელოვნების პედაგოგი	1	760
8	პროფესიული განვითარების სპეციალისტი	1	760
9	ფსიქოლოგი	1	760
10	მეტყველების სპეციალისტი	1	760
11	პედაგოგის თანაშემწე	2	600
12	მზარეული	1	600
13	მზარეულის თანაშემწე	1	400
14	დამლაგებელი	1	500
15	მძღოლი	1	800
16	დარაჯი	2	350